დამტკიცებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
კანცლერის 2025 წლის 17 მარტის #01-31 ბრძანებით

საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი

მუხლი 1. საბაკალავრო ნაშრომის მიზანი

1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ინდივიდუალურად შესასრულებელ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზის უნარები და ასევე, პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები. მასში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.
2. საბაკალავრო ნაშრომი ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო თემის შერჩევას, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევას, მასთან კონსულტირებასა და დამოუკიდებელ მუშაობას, საბაკალავრო ნაშრომის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს.
3. საბაკალავრო ნაშრომის მიზანია, სტუდენტს განუვითაროს დამოუკიდებელი მუშაობის, ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის უნარები, საშუალება მისცეს მას, ჩამოაყალიბოს, წარმოაჩინოს და დაიცვას კვლევის მეთოდოლოგია, შეძლოს თეორიული ცოდნისა და შესასწავლი მასალის საკვლევ თემასთან ინტეგრირება.

მუხლი 2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. საბაკალავრო ნაშრომის თემას და საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი. საბაკალავრო ნაშრომის თემა ზუსტდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული თემატიკიდან.
2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად შეიძლება დამტკიცდეს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი ან დარგის მოწვეული სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში დოქტორის ხარისხი.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ენა

1. საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ქართულ ენაზე.
2. უცხოენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ნაშრომს წარმოადგენენ იმ ენაზე, რომელ ენაზეც მიმდინარეობს მათთვის სწავლება.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

1. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა უნდა შეიცავდეს პუნქტებს შემდეგი თანმიმდევრობით:
    1.1. თავფურცელი;
    1.2. განაცხადის გვერდი;
    1.3. ანოტაცია (ქართულად და ინგლისურად);
    1.4. შინაარსი (სარჩევი);
    1.5. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა (არსებობის შემთხვევაში);
    1.6. შესავალი;
    1.7. ტექსტის ძირითადი ნაწილი;
    1.8. დასკვნა;
    1.9. გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა;
    1.10. დანართები (არსებობის შემთხვევაში);
2. საბაკალავრო ნაშრომის არააუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

2.1. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა, ცხრილები, გრაფიკები, სხვა ილუსტრაციები;
2.2. დანართები.

3. თავფურცელი (სატიტულო ფურცელი) – ივსება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით:

ლოგოს ქვეშ

- კსუ ლოგოს ქვემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სრული დასახელება: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (შრიფტის ზომა: 14);
- 2-3 სმ-ის დაშორებით მიეთითება ფაკულტეტი (შრიფტის ზომა: 14);
- 2–3 სმ–ის დაშორებით იწერება სტუდენტის სახელი და გვარი სახელობით ბრუნვაში (შრიფტის ზომა: 14);
- შუა ნაწილში იწერება საბაკალავრო ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა: 16; მას არ მიეწერება სიტყვა „თემა“ და ბრჭყალებში ჩასმას არ საჭიროებს);
- სათაურის შემდეგ იწერება საბაკალავრო პროგრამის დასახელება (შრიფტის ზომა: 14);
- საბაკალავრო პროგრამის დასახელების ქვემოთ მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარდგენილი ნაშრომი დასაცავად (შრიფტის ზომა: 14);
- თავფურცელის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა;
- თავფურცლის ბოლოს, შუა ნაწილში, იწერება საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ადგილი - ქალაქი და წელი (მაგ.,: თბილისი - 2023; შრიფტის ზომა: 14);

4. ანოტაცია – ასახავს თემის მოკლე შინაარსს დაახლოებით 150 - 250 სიტყვის ოდენობით. ანოტაცია უნდა დაიწეროს ქართულ და ინგლისურ ენებზე. აუცილებელია, ინგლისურენოვან ანოტაციას, მარჯვენა მხარეს მიეთითოს სტუდენტის სახელი და გვარი, ხოლო შუა ნაწილში განთავსდეს თემის ზუსტი სათაური.

5. შინაარსი (სარჩევი) – ასახავს საბაკალავრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მითითებით მარჯვენა მხარეს. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, განაცხადის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით. გვერდები ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში, არაბული ციფრებით.

6. შესავალი – წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს (ეთმობა ნაშრომის საერთო მოცულობის 15 %-მდე), რომელშიც უნდა აისახოს:

- თემის აქტუალურობა;
- კვლევის მიზნები;
- კვლევის ამოცანები;
- საკვლევი კითხვა/კითხვები და საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა;
- კვლევის საგანი და ობიექტი;
- პრობლემის კვლევის მდგომარეობა (ლიტერატურის მიმოხილვა);
- კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია და მეთოდები;
- ნაშრომის მნიშვნელობა;
- გამოყენებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზა (დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).

7. ტექსტის ძირითადი ნაწილი – ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად /ქვეთავებად. თავები გადაინომრება თანმიმდევრულად. ქვეთავებს დაესმის თავისა და ქვეთავის ნომრები. თავის დასახელება იწერება 16-იანი ზომის, ხოლო ქვეთავები 14-იანი ზომის შრიფტით. შესავალი, თითოეული თავი და დასკვნა უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავები გაგრძელდეს იმავე გვერდზე.

8. დასკვნა – წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს (ეთმობა ნაშრომის საერთო მოცულობის 10 %-მდე). დასკვნაში შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შესაბამისი მიგნებები.

9. გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები:
   - ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ უცხოენოვანი, შემდეგ ლინკები (ნაბეჭდ ვერსიაში შემოკლებული, ხოლო ელექტრონულ ვერსიაში სრული);
   - ტექსტში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა – ცხრილები, დიაგრამები, სურათები, ჰისტოგრამები, სქემები უნდა გადაინომროს. მაგალითად, ნაშრომის თავის ნომერი და ცხრილის ნომერი. მაგ.,: 2.1, 2.2 და ა.შ.
   - თუ საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებულია ისეთი მასალა, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით (მაგალითად, ილუსტრაციები, სპექტრები, ნახატები და სხვა), მაშინ ავტორი ვალდებულია, მისი გამოყენების შესახებ მიიღოს ნებართვა შესაბამისი გამომცემლობისგან ან ავტორისგან. საავტორო ნებართვის შესაბამისი წერილი უნდა ჩაერთოს ნაშრომში დანართის სახით.
   - თითოეულ საბაკალავრო პროგრამაში, საბაკალავრო ნაშრომის ან/და პროექტის მომზადებისას, სტუდენტი სარგებლობს ციტირების ჩიკაგოსა (შენიშვნებში (სქოლიოში) დამოწმების) ან APA-ს სტილით.

კერძოდ:

ციტირების ჩიკაგოს სტილით - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები.

ციტირების APA-ს სტილით - ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, ბიზნესის ადმინისტრირების ქართული და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, ინფორმაციული ტექნოლოგიების ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები.
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ფორმდება შესაბამისი აკადემიური სტილის მიხედვით.

10. ტექსტში გამოყენებული ფორმულებიდან უნდა გადაინომროს მხოლოდ ისინი, რომელთა მითითებაც ხდება შემდგომში. ფორმულების აღმნიშვნელი ნუმერაცია, გამოსახული არაბული რიცხვებით მაგ., (4.5), რაც ნიშნავს მე–4 თავის მე–5 ფორმულას.
11. შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია სქოლიოების სახით, საჭიროების შემთხვევაში, დაერთვის თითოეული გვერდის ბოლოს უწყვეტი ნუმერაციით.
12. საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემულ იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა საბაკალავრო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) შემდეგ.

მუხლი 5. ტექსტის დაკაბადონების წესი

1. საბაკალავრო ნაშრომის ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ფორმატის (297x210 მმ) ფურცელზე და ამოიბეჭდოს 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები დასხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია, შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ., სქემებისათვის)დასაშვებია

ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.

2. შრიფტის სახე - Sylfaen;
3. ტექსტის შრიფტის ზომა - 12;
4. შრიფტის ზომა: 16 - თავები, 14 - ქვეთავები;
5. სქოლიოს შრიფტის ზომა -10;
6. სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
7. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) ინტერვალი - 1.
8. ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან - 30 მმ, მარჯვნიდან -15 მმ, ზემოდან - 25 მმ, ქვემოდან - 25 მმ;
9. ნაშრომის მოცულობა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მერყეობდეს - არანაკლებ 30 გვერდიდან არაუმეტეს 40 გვერდამდე (ბიბლიოგრაფიის ჩათვლით).

მუხლი 6. პლაგიატი

1. ნაშრომში სხვა ავტორთა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებას არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ეწოდება პლაგიატი.
2. პლაგიატი (plagiatus ლათ.) ნიშნავს მიტაცებულს. მეცნიერებაში პლაგიატი ეწოდება ნებსით თუ უნებლიეთ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებას. ეს „იდეები“ შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით; ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ.
3. საბაკალავრო ნაშრომის მიღებიდან 7 დღის ვადაში დეკანატი უფლებამოსილ სტრუქტურებთან კოორდინაციით ახდენს ნაშრომის შემოწმებას ანტიპლაგიატის პროგრამაში.
4. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში სტუდენტის მიმართ გავრცელდება დისციპლინური ღონისძიებები, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით. იხ. „პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი“ .

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა

1. საბაკალავრო ნაშრომი წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო სემესტრის დასრულებისას, მე-15 კვირის ბოლოს;
2. საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს ზამბარაზე აკინძული A4 ფორმატის ფურცელზე;
3. სტუდენტმა უნდა წარადგინოს ნაშრომის სრული ელექტრონული ვერსია - CD დისკზე;
4. ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის დასკვნა და შეფასება;
5. ნაშრომს მსვლელობა მიეცემა, თუ მას აქვს ხელმძღვანელის დადებითი შეფასება;
6. პროგრამის ხელმძღვანელი საბაკალავრო ნაშრომს განუსაზღვრავს შემფასებელს (რეცენზენტს);
7. რეცენზენტს ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე 10 დღით ადრე. იგი დაცვამდე 3 დღით ადრე წარადგენს რეცენზიას წერილობითი ფორმით;
8. საბაკალავრო ნაშრომი დაცვაზე დაიშვება, თუ რეცენზენტი გასცემს დადებით დასკვნას. იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტის დასკვნა იქნება უარყოფითი, ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, არგუმენტირებული პასუხი მოამზადოს რეცენზენტის დასკვნაზე. ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს, დაეთანხმოს რეცენზენტის დასკვნას და ნაშრომი არ დაუშვას დაცვის კომისიაზე ან არ დაეთანხმოს უარყოფით შეფასებებს და არგუმენტირებული წერილობითი პასუხის საფუძველზე ნაშრომი დაუშვას კომისიაზე;
9. ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში დაცვა გადაიდება ერთი სემესტრით;
10. სტუდენტი, რომელიც არ გამოცხადდება დაცვაზე, უფლება აქვს იგივე ნაშრომი დაიცვას

მომდევნო სემესტრში.

11. თუ საბაკალავრო ნაშრომი საბოლოოდ შეფასდება 41-დან 50-ქულამდე, ნაშრომის დაცვა მოხდება შემდეგ სემესტრში. ერთი საბაკალავრო ნაშრომი დაცვაზე შესაძლებელია გავიდეს მხოლოდ ორჯერ, სხვადასხვა სემესტრში;
12. თუ საბაკალავრო ნაშრომი საბოლოოდ შეფასდება 40 და ნაკლები ქულით, ბაკალავრს უფლება არ აქვს დაამუშავოს იგივე თემა შემდეგ სემესტრში;
13. საბაკალავრო ნაშრომს რეცენზენტი და ნაშრომის ხელმძღვანელი აფასებს ამ წესის მე-8, ხოლო კომისია - მე-9 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები:

1. საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ნაშრომის შეფასებას ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი (30 ქულა), ნაშრომის რეცენზენტი (30 ქულა), კომისია საჯარო დაცვაზე (40 ქულა).
2. ნაშრომის ხელმძღვანელი მე-8 სასწავლო კვირაში აკეთებს საბაკალავრო ნაშრომის შუალედურ შეფასებას, 10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმებით:

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	შესავალი ნაწილის შესრულებაზე გაწეული სამუშაო (კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, საკვლევი კითხვების ან და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, კვლევის საგნისა და ობიექტის განსაზღვრა, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა, ლიტერატურის მოძიება, დამუშავება, დახარისხება და ანალიზი და ა.შ)	5
2	ნაშრომის სტრუქტურის ჩამოყალიბება	5

3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი თავის საბოლოო დასკვნას შეფასებასთან ერთად აკეთებს ნაშრომის რეცენზენტისთვის გადაცემამდე.
   ნაშრომის ხელმძღვანელი თავის საბოლოო დასკვნაში მიუთითებს ბაკალავრის მიერ მთელი სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს აღწერას, შეაფასებს ნაშრომის კვლევით ნაწილს, გაფორმების ხარისხს და წერს შეფასებას ჯამში 20 ქულის ფარგლებში.

4. ხელმძღვანელი საბაკალავრო ნაშრომს სემესტრის ბოლოს აფასებს შემდეგი კრიტერიუმებით:

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	თემის აქტუალობა და პრობლემების ხედვა	3
2	კვლევითი კომპონენტი და ანალიზის უნარი	6
3	არგუმენტირებული დასკვნები	5
4	ნაშრომის გაფორმების ხარისხი	3
5	საბაკალავრო ნაშრომზე სემესტრის განმავლობაში გაწეული სამუშაო	3

5. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტი რეცენზიას შეფასებით წარმოადგენს ნაშრომის დაცვამდე, 3 დღით ადრე.
6. რეცენზიაში მიეთითება ნაშრომის ზოგადი შეფასება, თემის აქტუალობა, დამუშავებული მასალის ანალიზი, ნაშრომის ენა და სტილი. რეცენზენტი საბაკალავრო თემაზე წერს თავის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.
7. რეცენზენტი საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 30 ქულის ფარგლებში შემდეგი კრიტერიუმებით:

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	თემის აქტუალობა და პრობლემების ხედვა	5
2	კვლევითი კომპონენტი, კვლევის მეთოდები და ანალიზის უნარი	10
3	საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შედეგები	10
4	ნაშრომის სტრუქტურა, გამოყენებული ლიტერატურის ადეკვატურობა, აკადემიური წერის კულტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება	5

8. საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე, შესაძლებელია რექტორის ბრძანებით დამტკიცდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები, რომელიც არ შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების პრინციპებისგან.

მუხლი 9. კომისია

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობას ფაკულტეტის წარდგინებით, ბრძანებით ამტკიცებს რექტორი.
2. კომისიის შემადგენლობა შედგება მინიმუმ 3 წევრისა და სხდომის მდივნისაგან.
3. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც არის დარგის სპეციალისტი და დაცვის მომენტისათვის არ არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.
4. ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის აუცილებელია, სტუდენტს გადალახული ჰქონდეს, ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - თითოეული შეფასების კომპონენტში არანაკლებ 16 ქულისა.
5. საბაკალავრო ნაშრომი, ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასების შემდეგ, ფასდება დაცვის კომისიის ჯამური ქულით, საბაკალავრო ნაშრომის დაცვის დასრულებისთანავე, დახურულ სხდომაზე. კომისია ნაშრომს აფასებს 40 ქულის ფარგლებში, შეფასება არის კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო. დადებითი შეფასებისათვის აუცილებელია კომისიის შეფასება იყოს არანაკლებ 21 ქულისა.

6. კომისია საბაკალავრო ნაშრომს აფასებს შემდეგი კრიტერიუმებით:

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	თემის აქტუალობა და პრობლემების ხედვა	5
2	კვლევითი კომპონენტი და ანალიზის უნარი	10
3	საბაკალავრო ნაშრომის არგუმენტირებული დასკვნები	10
4	საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციის ხარისხი	5
5	რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და სიღრმისეულობა	5
6	კომისიის მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული არგუმენტირებული პასუხები	5

მუხლი 10. საბაკალავრო პროექტი

1. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის ნაცვლად შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას საბაკალავრო პროექტის კომპონენტი.
2. საბაკალავრო პროექტი არის მცირე ზომის კვლევითი კომპონენტი, რომლის მოცულობა

პროგრამაში შეიძლება შეადგენდეს არაუმეტეს 6 კრედიტს.

3. საბაკალავრო პროექტის მიმართ ვრცელდება ყველა ის პირობა, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული წესით, გარდა ამ მუხლში აღნიშნული განსხვავებული რეგულაციებისა.
4. საბაკალავრო პროექტის მოცულობა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მერყეობდეს - არანაკლებ 20 გვერდიდან არაუმეტეს 30 გვერდამდე (ბიბლიოგრაფიის ჩათვლით).
5. საბაკალავრო პროექტი არ საჭიროებს რეცენზირებას და ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ნაშრომის შეფასებას ახორციელებს საბაკალავრო პროექტის ხელმძღვანელი (60 ქულა), კომისია საჯარო დაცვაზე (40 ქულა).
6. საბაკალავრო პროექტის ხელმძღვანელი მე-8 სასწავლო კვირაში აკეთებს საბაკალავრო პროექტის შუალედურ შეფასებას, 20 ქულის ფარგლებში შემდეგი კრიტერიუმებით:

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	შესავალი ნაწილის შესრულებაზე გაწეული სამუშაო (კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, საკვლევი კითხვების ან და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, კვლევის საგნისა და ობიექტის განსაზღვრა, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა, ლიტერატურის მოძიება, დამუშავება, დახარისხება და ანალიზი და ა.შ.)	10
2	პროექტის სტრუქტურის ჩამოყალიბება	10

7. საბაკალავრო პროექტის ხელმძღვანელი თავის საბოლოო დასკვნას შეფასებასთან ერთად აკეთებს სემესტრის ბოლოს.
   ხელმძღვანელი თავის დასკვნაში მიუთითებს ბაკალავრის მიერ მთელი სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს აღწერას, შეაფასებს პროექტის კვლევით ნაწილს, გაფორმების ხარისხს. ხელმძღვანელი საბაკალავრო პროექტს სემესტრის ბოლოს აფასებს 40 ქულის ფარგლებში, ჯამში, 60 ქულის ფარგლებში.

8. ხელმძღვანელი საბაკალავრო პროექტს სემესტრის ბოლოს აფასებს შემდეგი კრიტერიუმებით:

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	თემის აქტუალობა და პრობლემების ხედვა	10
2	კვლევითი კომპონენტი და ანალიზის უნარი	10
3	საბაკალავრო პროექტის არგუმენტირებული დასკვნები	10
4	ნაშრომის გაფორმების ხარისხი, საბაკალავრო პროექტზე სემესტრის განმავლობაში გაწეული სამუშაო	10

9. საბაკალავრო პროექტის დაცვაზე დაშვებისათვის აუცილებელია, პროექტის ხელმძღვანელის შეფასება იყოს არანაკლებ 31 ქულისა.
10. საბაკალავრო პროექტის ხელმძღვანელის შეფასების შემდეგ, საბაკალავრო პროექტი ფასდება დაცვის კომისიის ჯამური ქულით, საბაკალავრო პროექტის დაცვის დასრულებისთანავე, დახურულ სხდომაზე. საბოლოო შეფასება არის კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო. დადებითი შეფასებისათვის აუცილებელია კომისიის შეფასება იყოს არანაკლებ 21 ქულისა.

კომისიის შეფასება

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა

1	თემის აქტუალობა და პრობლემების ხედვა	10
2	კვლევითი კომპონენტი და ანალიზის უნარი	10
3	საბაკალავრო პროექტის არგუმენტირებული დასკვნები	10
4	საბაკალავრო პროექტის პრეზენტაციის ხარისხი	5
5	კომისიის მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული არგუმენტირებული პასუხები	5

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის კანცლერი.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანცლერის ბრძანებით.
3. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებით ძალადაკარგულად გამოცხადდა კანცლერის 2023 წლის 22 მაისის #01-70 ბრძანებით დამტკიცებული „საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი“.

დანართი

❖ **საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმები:**

ნაშრომის შუალედური შეფასების კრიტერიუმები

შესავალი ნაწილის შესრულებაზე გაწეული სამუშაო - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	შესავალი ნაწილი შესრულებულია ხარვეზების გარეშე, განსაზღვრულია კვლევის მიზნების და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები და საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა, სწორადაა შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია, მოძიებული რელევანტური ლიტერატურა დამუშავებული, დახარისხებული და გაანალიზებულია.
4 ქულა	შესავალი ნაწილი შესრულებულია მცირე ხარვეზებით, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები და საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა, მეტწილად სწორადაა შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია, მოძიებული რელევანტური ლიტერატურა უმეტესად დამუშავებული, დახარისხებული და გაანალიზებულია.
3 ქულა	შესავალი ნაწილი შესრულებულია ხარვეზებით, მეტწილად განსაზღვრულია კვლევის მიზნების და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები და საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდოლოგია ძირითადად სწორადაა შერჩეული, მოძიებული ლიტერატურა ნაწილობრივ დამუშავებული, დახარისხებული და გაანალიზებულია.
2 ქულა	შესავალი ნაწილი შესრულებულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით, თითქმის არ არის განსაზღვრული კვლევის მიზნები და ამოცანები, ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის საკვლევი კითხვები, კვლევის მეთოდოლოგია შეცდომითაა შერჩეული, მოძიებული ლიტერატურა თითქმის დაუმუშავებელია.
1 ქულა	შესავალი ნაწილი თითქმის შეუსრულებელია. განსაზღვრული არ არის კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, არ არის შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია, არ არის საკვლევი კითხვები. მოძიებული არასაკმარისი რაოდენობის ლიტერატურა დაუმუშავებელია.
0 ქულა	შესავალი ნაწილი არ არის შესრულებული.

ნაშრომის სტრუქტურის ჩამოყალიბება - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს და სრულად აკმაყოფილებს საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესის მოთხოვნებს.
4 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას. სტრუქტურა მეტწილად აკმაყოფილებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მოთხოვნებს.
3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემის სათაურს. ძირითადად დაკმაყოფილებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მოთხოვნები.
2 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის თემის სათაურის შესაბამისი, ტექსტში არსებული გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის აზრის გაგებას, ტექსტი სტრუქტურულად გამართული არაა, არის ტერმინოლოგიური შეცდომები, ნაწილობრივაა დაკმაყოფილებული საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მოთხოვნები.

1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის საკვლევი თემის შესაბამისი, ტექსტი შეიცავს უამრავ ტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომას, რომელთა გამოც მისი შინაარსის გაგება რთულია, ამასთან, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის შესაბამის მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს.
0 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა საერთოდ არ შეესაბამება თემის სათაურს, ტექსტი ბუნდოვანია, ტერმინები არასწორადაა შერჩეული და მათი შინაარსი, პრაქტიკულად, გაუგებარია. სრულიად უგულებელყოფილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მოთხოვნები.

სემესტრის ბოლოს ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

1. შერჩეული თემის აქტუალობა - მაქსიმუმ 3 ქულა	
3 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა კარგადაა ჩამოყალიბებული, განმარტებული და დასაბუთებული.
2 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა განმარტებულია, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება.
1 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ზედაპირულად და არა არგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
0 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა არ არის ჩამოყალიბებული.

2. კვლევითი კომპონენტი და ანალიზის უნარი - მაქსიმუმ 6 ქულა	
6 ქულა	სტუდენტი კარგად აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ამჟღავნებს კარგი ანალიზის უნარს.
5-4 ქულა	სტუდენტი აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ამჟღავნებს ანალიზის უნარს, თუმცა შეინიშნება გარკვეული უზუსტობები.
3-2 ქულა	სტუდენტი კარგად ვერ აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
1 ქულა	სტუდენტი ვერ აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
0 ქულა	კვლევითი კომპონენტი საერთოდ არ არის შესრულებული.

3. არგუმენტირებული დასკვნები - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. მათ აქვთ გამოყენებითი მნიშვნელობა.
4-3 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. მათ შესაძლებელია, ჰქონდეთ პრაქტიკული მნიშვნელობა.
2-1 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით არა აქვს არგუმენტირებული დასკვნები დასაბუთებული.
0 ქულა	სტუდენტს ნაშრომში საერთოდ არა აქვს არგუმენტირებული დასკვნები.

4. ნაშრომის გაფორმების ხარისხი - მაქსიმუმ 3 ქულა	
3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს, ნაშრომი შესრულებულია, ფაქტობრივად, უშეცდომოდ, დაცულია საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესი.
2 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემის სათაურს, დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომები, სწორადაა გამოყენებული საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესი.
1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის საკვლევი თემის შესაბამისი, ტექსტი შეიცავს უამრავ ტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომას, რომელთა გამოც მისი შინაარსის გაგება რთულია. ნაშრომი არ არის საბაკალავრო ნაშრომის წესის შესაბამისად გაფორმებული.
0 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა საერთოდ არ შეესაბამება თემის სათაურს, ტექსტი ბუნდოვანია, ტერმინები არასწორადაა შერჩეული და მათი შინაარსი, პრაქტიკულად, გაუგებარია. ნაშრომი არ არის საბაკალავრო ნაშრომის წესის შესაბამისად გაფორმებული.

5. სემესტრის განმავლობაში საბაკალავრო ნაშრომზე გაწეული სამუშაო - მაქსიმუმ 3 ქულა	
3 ქულა	სტუდენტმა თემა შეარჩია და საბაკალავრო ნაშრომი შეასრულა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ყველა წესის, მოთხოვნისა და დროის შესაბამისად. ხელმძღვანელთან საურთიერთოდ სისტემატურად იყენებდა დადგენილ საკონსულტაციო დროს.
2 ქულა	სტუდენტმა თემა შეარჩია და საბაკალავრო ნაშრომი შეასრულა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ყველა წესისა და მოთხოვნის შესაბამისად, ზოგჯერ ჰქონდა დადგენილ დროში ხელმძღვანელისთვის შესრულებული სამუშაოს წარდგენის პრობლემა. ხელმძღვანელთან საურთიერთოდ იშვიათად იყენებდა დაგეგმილ საკონსულტაციო დროს.
1 ქულა	სტუდენტმა თემა შეარჩია მოგვიანებით, შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომიც შეასრულა ნაჩქარევად, ხელმძღვანელთან საურთიერთოდ, ფაქტობრივად არ იყენებდა დადგენილ საკონსულტაციო დროს.
0 ქულა	სტუდენტმა თემა ვერ შეარჩია დროულად და საბაკალავრო ნაშრომი ვერ დაასრულა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესებისა და მოთხოვნის მიხედვით, შესაბამისად, ვერ შეასრულა საბაკალავრო ნაშრომი.

- **საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები**

1. შერჩეული თემის აქტუალობა და პრობლემის ხედვა - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა კარგადაა განმარტებული და დასაბუთებული, სტუდენტი სწორად აყენებს პრობლემას.
4 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა განმარტებულია, სტუდენტი ხედავს პრობლემას, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება.

3 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა განმარტებულია, სტუდენტი ხედავს პრობლემას, მაგრამ ბოლომდე ვერ ასაბუთებს.
2 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული, პრობლემის ხედვა ბუნდოვანია.
1 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სტუდენტი ვერც პრობლემას ასაბუთებს.
0 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა არ არის ჩამოყალიბებული, სტუდენტს არა აქვს პრობლემის ხედვა.
2. კვლევითი კომპონენტი, კვლევის მეთოდები და ანალიზის უნარი - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	ნაშრომის შესასრულებლად გამოყენებული კვლევის მეთოდები კომპლექსურად, კვალიფიციურად და სწორადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით სტუდენტი სწორად აანალიზებს და წარმატებით პასუხობს კვლევის ძირითად პრობლემატიკას.
8-7 ქულა	ნაშრომის შესასრულებლად გამოყენებული კვლევის მეთოდები კვალიფიციურადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით სტუდენტი სწორად პასუხობს კვლევის ძირითად პრობლემატიკას.
6-5 ქულა	ნაშრომის შესასრულებლად საჭირო კვლევის მეთოდები არასრულადაა შერჩეული, რის გამოც სტუდენტი სწორად ვერ აანალიზებს და სრულად ვერ პასუხობს კვლევის ძირითად პრობლემატიკას.
4-3 ქულა	ნაშრომის შესასრულებლად შერჩეული კვლევის მეთოდები მოძველებულია და/ან შეუსაბამოა თემასთან. სტუდენტი ვერ აანალიზებს და ვერ პასუხობს კვლევის ძირითად პრობლემატიკას.
2-1 ქულა	ნაშრომის შესასრულებლად გამოყენებული კვლევის მეთოდები შერჩეულია არაკვალიფიციურად, სტუდენტი ვერ ამჟღავნებს ანალიზის უნარს.
0 ქულა	ნაშრომი შესრულებულია მეთოდოლოგიის გარეშე.
3. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შედეგები - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობითაა დასაბუთებული. მათ შესაძლებელია ჰქონდეთ გამოყენებითი მნიშვნელობა.
8-7 ქულა	საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობითაა დასაბუთებული. მათ შესაძლებელია ჰქონდეთ პრაქტიკული მნიშვნელობა.
6-5 ქულა	საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობითაა დასაბუთებული, თუმცა, ეს მსჯელობა არ არის დამაჯერებელი.
4-3 ქულა	საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით ნაკლებადაა დასაბუთებული. შედეგები მოითხოვს დამატებით დაზუსტებას.
2-1 ქულა	საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით არ არის დასაბუთებული, მიღებული შედეგები საეჭვოა.
0 ქულა	საბაკალავრო ნაშრომში საბოლოო შედეგები ჩამოყალიბებული არ არის.
4. ნაშრომის სტრუქტურა, გამოყენებული ლიტერატურის ადეკვატურობა, აკადემიური წერის კულტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ზედმიწევნით პასუხობს თემის სათაურს. გამოყენებული ლიტერატურა ადეკვატურია თემის შინაარსის. ნაშრომი დაწერილია შეცდომების გარეშე, მთლიანად არის გამართული და აზრები თანმიმდევრულადაა გადმოცემული. სწორადაა გამოყენებული შესაბამისი

	ტერმინოლოგია. ტექსტში გამოყენებული ინფორმაცია სამართლებრივ ჩარჩოებს არ სცილდება, ხოლო სხვისი ნაშრომებიდან ამონარიდები და ციტატები სქოლიოში არსებული მოთხოვნების შესაბამისადაა მითითებული. დაცულია საავტორო უფლებები.
4 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას. გამოყენებული ლიტერატურა ადეკვატურია თემის შინაარსის. ნაშრომი დაწერილია შეცდომების გარეშე, გამართულია და აზრები თანმიმდევრულადაა გადმოცემული. სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია. სხვისი ნაშრომებიდან ამონარიდები და ციტატები სქოლიოში წესიერადაა მითითებული. დაცულია საავტორო უფლებები.
3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემის სათაურს. გამოყენებული ლიტერატურა ადეკვატურია თემის შინაარსის, თუმცა მწირია. ნაშრომი დაწერილია უმნიშვნელო შეცდომებით, გამართულია და აზრები თანმიმდევრულადაა გადმოცემული. სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია. ინფორმაციის მცირე ნაწილის წყარო არაა მითითებული, ხოლო ციტირებისას ეთიკური ნორმები დაცულია.
2 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული. გამოყენებული ლიტერატურა ადეკვატურია თემის შინაარსის, თუმცა, არ არის საკმარისი სრულყოფილი ნაშრომის შესასრულებლად. ტექსტში არსებული გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის შინაარსის აღქმას, ტექსტი გამართული არაა სტრუქტურულად, არის ტერმინოლოგიური შეცდომები. ინფორმაციის საკმაოდ დიდი ნაწილის წყარო დაუდგენელია, ასევე, ციტატების გარკვეული ნაწილის წყარო არაკვალიფიციურადაა მინიშნებული.
1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის საკვლევი თემის შესაბამისი, ლიტერატურა არასწორადაა შერჩეული. ტექსტში დაშვებულია უამრავი ტერმინოლოგიური და აზრობრივი შეცდომა, რომელთა გამოც მისი შინაარსის გაგება რთულია. ინფორმაცია საეჭვოა, ხოლო ციტატები წყაროების გარეშეა მოყვანილი.
0 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა საერთოდ არ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს, ლიტერატურა არასწორადაა შერჩეული. ტექსტი დაწერილია ბუნდოვნად, ტერმინები არასწორია და მათი შინაარსი, პრაქტიკულად, გაუგებარია. გამოყენებული ინფორმაცია გაურკვეველი და საეჭვო წარმოშობისაა, ხოლო ციტატები უადგილოდ და წყაროების გარეშეა მოყვანილი.

❖ **საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასების კრიტერიუმები**

1. შერჩეული თემის აქტუალობა და პრობლემის ხედვა - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა კარგადაა ჩამოყალიბებული და დასაბუთებული, სტუდენტი სწორად აყენებს პრობლემას.
4 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ჩამოყალიბებულია, სტუდენტი ხედავს პრობლემას, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება.
3 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა განმარტებულია, სტუდენტი ხედავს პრობლემას, მაგრამ ბოლომდე ვერ ასაბუთებს მას.
2 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული, პრობლემის ხედვა ბუნდოვანია.

1 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სტუდენტი ვერც პრობლემას აყალიბებს.
0 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა არ არის ჩამოყალიბებული, სტუდენტს არა აქვს პრობლემის ხედვა.
2. კვლევითი კომპონენტი და ანალიზის უნარი - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	სტუდენტი კარგად აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ამჟღავნებს კარგი ანალიზის უნარს.
8-7 ქულა	სტუდენტი აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ამჟღავნებს ანალიზის უნარს, თუმცა შეინიშნება გარკვეული უზუსტობები.
6-5 ქულა	სტუდენტი კარგად ვერ აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
4-3 ქულა	სტუდენტი არადამაჯერებლად აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
2-1 ქულა	სტუდენტი ვერ აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
0 ქულა	კვლევითი კომპონენტი საერთოდ არ არის შესრულებული.
3. საბაკალავრო ნაშრომის არგუმენტირებული დასკვნები - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. დასკვნებში მითითებულია მათი გამოყენებითი მნიშვნელობა.
8-7 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. მათ შესაძლებელია ჰქონდეთ პრაქტიკული მნიშვნელობა.
6-5 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები, თუმცა, ეს მსჯელობა არ არის დამაჯერებელი.
4-3 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით ნაკლებად აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. შედეგები მოითხოვს დამატებით დაზუსტებას.
2-1 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით არ აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები.
0 ქულა	სტუდენტს ნაშრომში საერთოდ არა აქვს არგუმენტირებული დასკვნები.
4. საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციის ხარისხი - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	პრეზენტაცია შინაარსობრივად გამართულია, თემის შესაბამისია, სლაიდები, გრაფიკები და დანართები იკითხება უპრობლემოდ.
4 ქულა	პრეზენტაცია შინაარსობრივად გამართულია, თემის შესაბამისია, თუმცა სლაიდები, გრაფიკები და დანართები ვიზუალურად არ იკითხება უპრობლემოდ.
3 ქულა	პრეზენტაცია შინაარსობრივად არ არის გამართული, არ არის თემის შესაბამისი, თუმცა სლაიდები, გრაფიკები და დანართები ვიზუალურად იკითხება უპრობლემოდ.
2 ქულა	პრეზენტაცია შინაარსობრივად არ არის გამართული, სლაიდები, გრაფიკები და დანართები პრეზენტაციას არ ახლავს.
1 ქულა	პრეზენტაცია არ არის სწორად შესრულებული და ყურადღება არა არსებით საკითხებზეა გადატანილი.
0 ქულა	პრეზენტაცია არ არის სწორად შესრულებული და ბაკალავრი საუბრობს თემისაგან განსხვავებულ საკითხებზე.

5. რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და არგუმენტაცია/გააზრებულობა - მაქსიმუმ 5 ქულა.	
5 ქულა	სტუდენტი დამაჯერებლად პასუხობს რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, მას გააზრებული აქვს პასუხი თითოეულ მათგანზე.
4 ქულა	სტუდენტი პასუხობს რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, მას აქვს გააზრებული პასუხი თითოეულ მათგანზე, თუმცა აკლია არგუმენტაცია.
3 ქულა	სტუდენტი პასუხობს რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, თუმცა ბოლომდე არა აქვს გააზრებული ყველა პასუხი.
2 ქულა	სტუდენტი დამაჯერებლად ვერ პასუხობს რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს და არც სრულად აქვს გააზრებული პასუხი თითოეულ მათგანზე.
1 ქულა	სტუდენტი სწორად ვერ პასუხობს რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი აქვს გააზრებული.
0 ქულა	სტუდენტი ვერ პასუხობს რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს და საერთოდ არა აქვს გააზრებული არცერთი მათგანი.
6. კომისიის მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული არგუმენტირებული პასუხები - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	სტუდენტი გააზრებულად და დამაჯერებლად პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, მისი თითოეული პასუხი არგუმენტირებულია.
4 ქულა	სტუდენტი გააზრებულად და დამაჯერებლად პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, თუმცა ზოგიერთი პასუხი არგუმენტირებული არ არის.
3 ქულა	სტუდენტი გააზრებულად პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, თუმცა აკლია დამაჯერებლობა და არგუმენტირებულობა.
2 ქულა	სტუდენტი თითქოს გააზრებულად პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, თუმცა მისი პასუხები დამაჯერებელი არ არის და აკლია არგუმენტირებულობა.
1 ქულა	სტუდენტი გააზრებულად ვერ პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, მისი პასუხები არც დამაჯერებელია და არც არგუმენტირებული.
0 ქულა	სტუდენტი საერთოდ ვერ პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, მისი პასუხები არც დამაჯერებელია და არც არგუმენტირებული.

- **საბაკალავრო პროექტის ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმები:**

პროექტის ხელმძღვანელის შუალედური შეფასების კრიტერიუმები

შესავალი ნაწილის შესრულებაზე გაწეული სამუშაო - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	შესავალი ნაწილი შესრულებულია ხარვეზების გარეშე, განსაზღვრულია კვლევის მიზნების და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები და საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა, სწორადაა შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია, მოძიებული რელევანტური ლიტერატურა დამუშავებული, დახარისხებული და გაანალიზებულია.
8-7 ქულა	შესავალი ნაწილი შესრულებულია მცირე ხარვეზებით, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი,

	ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები და საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა, მეტწილად სწორადაა შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია, მოძიებული რელევანტური ლიტერატურა მეტწილად დამუშავებული, დახარისხებული და გაანალიზებულია.
6-5 ქულა	შესავალი ნაწილი შესრულებულია ხარვეზებით, მეტწილად განსაზღვრულია კვლევის მიზნების და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები და საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა, ძირითადად სწორადაა შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია, მოძიებული ლიტერატურა ნაწილობრივ დამუშავებული, დახარისხებული და გაანალიზებულია.
4-3 ქულა	შესავალი ნაწილი შესრულებულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით, თითქმის არ არის განსაზღვრული კვლევის მიზნები და ამოცანები, ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის საკვლევი კითხვები, შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია ნაწილობრივ შეცდომითაა შერჩეული, მოძიებული ლიტერატურა თითქმის დაუმუშავებელია.
2-1 ქულა	შესავალი ნაწილი თითქმის შეუსრულებელია. განსაზღვრული არ არის კვლევის მიზნები და ამოცანები, არასწორადაა შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის საგანი და ობიექტი, არ არის საკვლევი კითხვები. მოძიებული ლიტერატურა დაუმუშავებელია.
0 ქულა	შესავალი ნაწილი არ არის შესრულებული.

პროექტის სტრუქტურის ჩამოყალიბება - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	პროექტის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს და სრულად აკმაყოფილებს საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის მოთხოვნებს.
8-7 ქულა	პროექტის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას. სტრუქტურა მეტწილად აკმაყოფილებს საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის მოთხოვნებს.
6-5 ქულა	პროექტის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემის სათაურს და ძირითადად აკმაყოფილებს საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის მოთხოვნებს.
4-3 ქულა	პროექტის სტრუქტურა არ არის თემის სათაურის შესაბამისი, ტექსტში არსებული გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის აზრის გაგებას, ტექსტი სტრუქტურულად გამართული არაა, არის ტერმინოლოგიური შეცდომები, ნაწილობრივაა დაკმაყოფილებული საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის მოთხოვნები.
2-1 ქულა	პროექტის სტრუქტურა არ არის საკვლევი თემის შესაბამისი, ტექსტი შეიცავს უამრავ ტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომას, რომელთა გამოც მისი შინაარსის გაგება რთულია, ამასთან, საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს.
0 ქულა	პროექტის სტრუქტურა საერთოდ არ შეესაბამება თემის სათაურს, ტექსტი ბუნდოვანია, ტერმინები არასწორადაა შერჩეული და მათი შინაარსი, პრაქტიკულად, გაუგებარია. სრულიად უგულებელყოფილია საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის მოთხოვნები.

სემესტრის ბოლოს პროექტის ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმები:

1. შერჩეული თემის აქტუალობა - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა კარგადაა ჩამოყალიბებული, განმარტებული და დასაბუთებული.
8-7 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა განმარტებულია, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება.
6-5 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა განმარტებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასაბუთებული.
4-3 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
2-1 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.
0 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა არ არის ჩამოყალიბებული.

2. კვლევითი კომპონენტი და ანალიზის უნარი - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	სტუდენტი კარგად აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ამჟღავნებს კარგი ანალიზის უნარს.
8-7 ქულა	სტუდენტი აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ამჟღავნებს ანალიზის უნარს, თუმცა შეინიშნება გარკვეული უზუსტობები.
6-5 ქულა	სტუდენტი კარგად ვერ აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
4-3 ქულა	სტუდენტი არადამაჯერებლად აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
2-1 ქულა	სტუდენტი ვერ აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
0 ქულა	კვლევითი კომპონენტი საერთოდ არ არის შესრულებული.

3. საბაკალავრო პროექტის არგუმენტირებული დასკვნები - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. მათ აქვთ გამოყენებითი მნიშვნელობა.
8-7 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. მათ შესაძლებელია, ჰქონდეთ პრაქტიკული მნიშვნელობა.
6-5 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები, თუმცა ეს მსჯელობა არ არის დამაჯერებელი.
4-3 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით ნაკლებად აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები, შედეგები მოითხოვს დამატებით დაზუსტებას.
2-1 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით არა აქვს არგუმენტირებული დასკვნები დასაბუთებული.
0 ქულა	სტუდენტს ნაშრომში საერთოდ არა აქვს არგუმენტირებული დასკვნები.

4. ნაშრომის გაფორმების ხარისხი, სემესტრის განმავლობაში საბაკალავრო პროექტზე გაწეული სამუშაო - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	სტუდენტმა თემა შეარჩია და საბაკალავრო პროექტი შეასრულა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ყველა წესის, მოთხოვნისა და დროის შესაბამისად. ხელმძღვანელთან საურთიერთოდ სისტემატურად იყენებდა დადგენილ საკონსულტაციო დროს, შესაბამისად ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს, ნაშრომი შესრულებულია, ფაქტობრივად, უშეცდომოდ, დაცულია საბაკალავრო პროექტის გაფორმების კრიტერიუმები.
8-7 ქულა	სტუდენტმა თემა შეარჩია და საბაკალავრო პროექტი შეასრულა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ყველა წესისა და მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა ხელმძღვანელთან საურთიერთოდ ხშირად არ იყენებდა დაგეგმილ საკონსულტაციო დროს. ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას. ნაშრომი შესრულებულია მეტწილად შეცდომების გარეშე, სწორადაა გამოყენებული საბაკალავრო პროექტის გაფორმების კრიტერიუმები.
6-5 ქულა	სტუდენტმა თემა შეარჩია და საბაკალავრო პროექტი შეასრულა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ყველა წესისა და მოთხოვნის შესაბამისად, ზოგჯერ ჰქონდა დადგენილ დროში ხელმძღვანელისთვის შესრულებული სამუშაოს წარდგენის პრობლემა. ხელმძღვანელთან საურთიერთოდ იშვიათად იყენებდა დაგეგმილ საკონსულტაციო დროს. ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემის სათაურს, ძირითადად დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომები, სწორადაა გამოყენებული საბაკალავრო პროექტის გაფორმების კრიტერიუმები.
4-3 ქულა	სტუდენტმა თემა შეარჩია და საბაკალავრო პროექტი შეასრულა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ყველა წესისა და მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა მუდმივად აგვიანებდა დადგენილ დროში ხელმძღვანელისთვის შესასრულებელი სამუშაოს წარდგენას. ხელმძღვანელთან საურთიერთოდ იშვიათად იყენებდა დადგენილ საკონსულტაციო დროს. ნაშრომის სტრუქტურა არ არის თემის სათაურის შესაბამისი, ტექსტში არსებული გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის აზრის გაგებას, ტექსტი სტრუქტურულად გამართული არაა, არის ტერმინოლოგიური შეცდომები, შეცდომებია დაშვებული საბაკალავრო პროექტის გაფორმებისას.
2-1 ქულა	სტუდენტმა თემა შეარჩია მოგვიანებით, შესაბამისად, საბაკალავრო პროექტი შეასრულა ნაჩქარევად, ხელმძღვანელთან საურთიერთოდ, ფაქტობრივად, არ იყენებდა დადგენილ საკონსულტაციო დროს. ნაშრომის სტრუქტურა არ არის საკვლევი თემის შესაბამისი, ტექსტი შეიცავს უამრავ ტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომას, რომელთა გამოც მისი შინაარსის გაგება რთულია. ნაშრომი არ არის საბაკალავრო პროექტის შესრულების წესის შესაბამისად გაფორმებული.
0 ქულა	სტუდენტმა თემა ვერ შეარჩია დროულად და საბაკალავრო პროექტი ვერ დაასრულა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესებისა და მოთხოვნის მიხედვით, შესაბამისად, ვერ შეასრულა საბაკალავრო პროექტი.

- **საბაკალავრო პროექტის დაცვის კომისიის შეფასების კრიტერიუმები**

1. შერჩეული თემის აქტუალობა და პრობლემის ხედვა - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა კარგადაა ჩამოყალიბებული და დასაბუთებული, სტუდენტი სწორად აყენებს პრობლემას.
8-7 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ჩამოყალიბებულია, სტუდენტი ხედავს პრობლემას, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება.
6-5 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა განმარტებულია, სტუდენტი ხედავს პრობლემას, მაგრამ ბოლომდე ვერ ასაბუთებს მას.
4-3 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული, პრობლემის ხედვა ბუნდოვანია.
2-1 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სტუდენტი ვერც პრობლემას აყალიბებს.
0 ქულა	შერჩეული თემის აქტუალობა არ არის ჩამოყალიბებული, სტუდენტს არა აქვს პრობლემის ხედვა.
2. კვლევითი კომპონენტი და ანალიზის უნარი - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	სტუდენტი კარგად აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ამჟღავნებს კარგი ანალიზის უნარს.
8-7 ქულა	სტუდენტი აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ამჟღავნებს ანალიზის უნარს, თუმცა შეინიშნება გარკვეული უზუსტობები.
6-5 ქულა	სტუდენტი კარგად ვერ აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
4-3 ქულა	სტუდენტი არადამაჯერებლად აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
2-1 ქულა	სტუდენტი ვერ აყალიბებს კვლევის ძირითად პრობლემატიკას და ვერ ამჟღავნებს სწორი ანალიზის უნარს.
0 ქულა	კვლევითი კომპონენტი საერთოდ არ არის შესრულებული.
3. საბაკალავრო პროექტის არგუმენტირებული დასკვნები - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. დასკვნებში მითითებულია მათი გამოყენებითი მნიშვნელობა.
8-7 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. მათ შესაძლებელია ჰქონდეთ პრაქტიკული მნიშვნელობა.
6-5 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები, თუმცა, ეს მსჯელობა არ არის დამაჯერებელი.
4-3 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით ნაკლებად აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები. შედეგები მოითხოვს დამატებით დაზუსტებას.
2-1 ქულა	სტუდენტს ლოგიკური მსჯელობით არ აქვს დასაბუთებული არგუმენტირებული დასკვნები.
0 ქულა	სტუდენტს ნაშრომში საერთოდ არა აქვს არგუმენტირებული დასკვნები.
4. საბაკალავრო პროექტის პრეზენტაციის ხარისხი - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	პრეზენტაცია შინაარსობრივად გამართულია, თემის შესაბამისია, სლაიდები, გრაფიკები და დანართები იკითხება უპრობლემოდ.

4 ქულა	პრეზენტაცია შინაარსობრივად გამართულია, თემის შესაბამისია, თუმცა სლაიდები, გრაფიკები და დანართები ვიზუალურად არ იკითხება უპრობლემოდ.
3 ქულა	პრეზენტაცია შინაარსობრივად არ არის გამართული, არ არის თემის შესაბამისი, თუმცა სლაიდები, გრაფიკები და დანართები ვიზუალურად იკითხება უპრობლემოდ.
2 ქულა	პრეზენტაცია შინაარსობრივად არ არის გამართული, სლაიდები, გრაფიკები და დანართები პრეზენტაციას არ ახლავს.
1 ქულა	პრეზენტაცია არ არის სწორად შესრულებული და ყურადღება არა არსებით საკითხებზეა გადატანილი.
0 ქულა	პრეზენტაცია არ არის სწორად შესრულებული და ბაკალავრი საუბრობს თემისაგან განსხვავებულ საკითხებზე.
5. კომისიის მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული არგუმენტირებული პასუხები - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	სტუდენტი გააზრებულად და დამაჯერებლად პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, მისი თითოეული პასუხი არგუმენტირებულია.
4 ქულა	სტუდენტი გააზრებულად და დამაჯერებლად პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, თუმცა ზოგიერთი პასუხი არგუმენტირებული არ არის.
3 ქულა	სტუდენტი გააზრებულად პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, თუმცა აკლია დამაჯერებლობა და არგუმენტირებულობა.
2 ქულა	სტუდენტი თითქოს გააზრებულად პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, თუმცა მისი პასუხები დამაჯერებელი არ არის და აკლია არგუმენტირებულობა.
1 ქულა	სტუდენტი გააზრებულად ვერ პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს, მისი პასუხები არც დამაჯერებელია და არც არგუმენტირებული.
0 ქულა	სტუდენტი საერთოდ ვერ პასუხობს კომისიის მიერ დასმულ კითხვებს.